<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„ეროვნული ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ფასების სტაბილურობის დარღვევის მიზანმიმართული ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“

საქართველოს პარლამენტი ითვალისწინებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020-2021 წლებში კომერციული ბანკებისთვის, მათთან წინასწარი გარიგების საფუძველზე, ფინანსური სტაბილურობის რისკების არარსებობის პირობებში დამატებითი ფულადი რესურსების მიწოდების ფაქტს, რამაც შესაძლოა გამოიწვია ფასების სტაბილურობის დარღვევა, პარლამენტის მიერ დადგენილ მიზნობრივ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად უფრო მაღალი ინფლაცია, და შესაბამისად კონსტიტუციის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და 62–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის ,,ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კობა გვენეტაძის მიერ კონსტიტუციის შესაძლო დარღვევის ფაქტს.''
2. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებები მონეტარული პოლიტიკის და საბანკო ზედამხედველობის ნაწილში, რომლის შედეგად კომერციულ ბანკებს დამატებითი ფულადი რესურსების მიწოდება მოხდა, მაშინ, როცა ბანკებს ასეთი საჭიროება არ ჰქონდათ. დადგენა იმისა, თუ რამდენად მიზნობრივი იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რა გავლენა იქონია ამ გადაწყვეტილებამ ფასების სტაბილურობაზე და ინფლაციაზე.
3. დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევი საკითხია:

3.1 ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის გადაწყვეტილებები მონეტარული პოლიტიკისა და საბანკო ზედამხედველობის ნაწილში

3.2 ამ ფაქტთან დაკავშირებული თანამდებობის პირების შესაძლო არამართლზომიერი ქმედებები

3.3 კონსტიტუციის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევა

4. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 3 თვით.
5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი